არ დაჩაგრო, იმეგობრე!

ავტორი ნათია უჩავა

მასწავლებლები ჩვენს აღსაზრდელებთან ერთად ვქმნით იმ საზოგადოებას, რომელიც ჩვენი მომავალია. შესაბამისად, სწავლა-განათლების პარალელურად, ვზრუნავთ მათ პიროვნულ განვითარებაზე. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ მათი სწორად აზროვნებისა და ქცევის ჩამოყალიბებას. როდესაც მოსწავლეები სკოლაში ატარებენ დროს, ისინი სწავლობენ სოციუმთან ურთიერთობას, ავლენენ საკუთარ ხასიათს, ცდილობენ თვითდამკვიდრებას. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ შესაძლებლობების გამოვლენაში და მივცეთ სწორი მიმართულება. უნდა დავუთმოთ დრო მნიშვნელოვან საკითხებს, მაგალითად, როგორიცაა ჩაგვრის თემა.

ვფიქრობ, თუ თითოეულ ადამიანს მცირე ასაკიდანვე შთავაგონებთ, რომ ძალადობა არ შეიძლება, საზიანო და დამანგრეველია, ნელ-ნელა შემცირდება მსოფლიოში შემთხვევები.

ჩაგვრის თემასთან დაკავშირებით ჩვენმა სკოლამ, წლის განმავლობაში, სასკოლო პროექტი განახორციელა, რომელშიც ყველა ასაკობრივი საფეხური იყო ჩართული. პროექტში განხორციელებული ყველა აქტივობა საბოლოოდ ჩემმა მოსწავლეებმა გააერთიანეს და სატელევიზიო გადაცემა ,, ერუდიტი TV -ის“ ფარგლებში შესთავაზეს საზოგადოებას.

გთავაზობთ პროექტის მიმდინარეობას:

კომპეტენციები – ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება; პატივისცემა; მოქალაქეობრივი აზროვნება; ემპათია;

- თემა – ძალადობისა და ჩაგვრის პრევენცია
- პრიორიტეტები ესგ – კონფლიქტების მართვა
- მიზნობრივი ჯგუფები:
- დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები;
- საბაზო საფეხურის მოსწავლეები;
- საშუალო საფეხურის მოსწავლეები;
- მშობლები;
- კათედრების წევრები;
- სამოქალაქო განათლების კლუბი.

განხორციელებული აქტივობები:

1. **ჩაგვრის თემაზე ესეებისა და ლექსების შექმნა:**

მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დახმარებით, შეადგინეს ლექსები და ესეები, სადაც ისინი საუბრობენ და ძალადობაზე საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ. ამ აქტივობით, მოსწავლეებში ღრმავდება თემის არსი. ვფიქრობ, როდესაც რაღაცას ქმნი და მის შესახებ ფიქრობ, ის სულ შენთან რჩება და აღარსად მიდის.

ნუ დაჩაგრავ!

დაჩაგრულის დამცირება ნუ გგონია ვაჟკაცობა
ასეთ რამეს მოგიწონებს
განა ვინმე?!
ჩაგრულს ხელი გაუწოდე, ისიც ადამიანია,
სიყვარული აგრძნობინე.
თუ ღონე და და ძალა გერჩის,
კეთილ საქმეს მოახმარე.
სუსტებს ძმურად მოექეცი,
შენც სიკეთით გაიხარე.
რა სჯობია,
როცა იცი მადლის ძალა.
ცხოვრებაში გაგიძღვება
ქრისტეს შუქი.
ნუ დაჩაგრავ შენზე სუსტს და მაშინ მართლა,
შენ გექნება სიჭაბუკე
დიდებული.



ადამიანი -
ყველაზე გონიერი
და ყველაზე სუსტი

დარწმუნებული ვარ, იცით, რომ ადამიანი ითვლება ყველაზე გონიერ არსებად დედამიწაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სტატუსი მან თავის თავს მიანიჭა. საკითხავია, რამდენად ვიმსახურებთ ამას? დღევანდელ დღეს ხშირად გაიგონებთ სიტყვა ბულინგს. მინდა, რომ დავფიქრდეთ რამდენად გონიერია არსება, რომელიც ჩაგრავს სხვას. ბულინგი ბაღისა და სკოლის სივრცეშიც ხშირია. ანუ, ეს ნაქები გონიერი არსება ცდილობს, უპირატესობა და ძალაუფლება მოიპოვოს ძალადობით.
ამ დროს უფრო მართებული იქნებოდა, თუ ერთმანეთს გავაძლიერებდით და ამით მთლიანად საზოგადოება იხეირებდა.
მინდა, მოკლედ მოგიყვეთ მგლის ხროვის პრინციპზე: როცა მათ მიგრაცია უწევთ, ყველაზე ძლიერი მგლები იყოფიან ორ ნაწილად. თავსა და ბოლოში მოძრაობენ ძლიერნი და იცავენ შუაში მოქცეულ სუსტებს: მოხუცებს, დაჭრილებს, მდედრებსა და ლეკვებს. რა გამოდის? მგელი, რომელიც დაუნდობელი მხეცია, ცდილობს, დაიცვას სუსტი. პასუხისმგებლობას იღებს მათზე. ახლა ვიკითხავ: გვაჯობა თუ არა მგელმა? განა ბულინგი არ არის სამარცხვინო დედამიწის გონიერი არსებისთვის? დამიჯერეთ, ეს არ არის ის საქციელი, რომელიც რეალურად გაგრძნობინებთ სიძლიერეს. ბულინგი სისუსტეა, ხალ

2. თოჯინების სპექტაკლების წარმოდგენა

ზღაპარი **,,ვეფხვი და კატა“** თოჯინების სპექტაკლისთვის გამოიყენეს მოსწავლეებმა. თავად შექმნეს თოჯინები, გაახმოვანეს და გადაიღეს სპექტაკლის მიმდინარეობა.

3. არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშის სტატისტიკური ანალიზი

მოსწავლეებმა მათემატიკის მასწავლებელთან ერთად მოიძიეს ინფორმაცია ბოლო წლებში საქართველოში ბავშვებზე განხორციელებულ ძალადობაზე. გადაამუშავეს მონაცემები და წარმოადგინეს დიაგრამების სახით. ბოლო წლებში მიმდინარეობს ძალადობის ამსახველი ფაქტების აღრიცხვა, მათი გამოვლენა და რაც მთავარია, დახმარების აღმოჩენა.



4. **სიმღერის ჩაწერა**
   მოსწავლეებმა თავად დაწერეს ძალადობის თემაზე სიმღერის ტექსტი და ჩაწერეს სიმღერა. ამით კიდევ ერთხელ გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულება და მოუწოდეს საზოგადოებას, უარი განაცხადონ ძალადობაზე.

5. **სამოქალაქო კლუბის მიერ ორგანიზებული დისკუსია – თემაზე: ,,არ დაჩაგრო, იმეგობრე!“**

სამოქალაქო კლუბის წევრებმა გამართეს დისკუსია ჩაგვრის თემაზე. ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ,,ნაადრევი ქორწინება“, ,,ცხოველების ჩაგვრა“, ,,მოსწავლეების ჩაგვრა მასწავლებლების მიერ“ და სხვა. თემებზე დისკუსიის შედეგად მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ სწორი ხედვა ჩაგვრის მიმართ.

6. **მოსწავლეთა მშობლებისათვის ფილმის „400 დარტყმა“ ჩვენება, დისკუსია Microsoft Teams-ში.**

მშობლებმა სურვილი გამოთქვეს, მონაწილეობა მიეღოთ პროექტის განხორციელებაში. ამისათვის გადაწყვიტეს, ენახათ ფილმები ძალადობაზე: „400 დარტყმა“, „საოცრება“, „ცხოვრება მშვენიერია“ და გაემართათ დისკუსია პედაგოგებთან ერთად ძალადობის სახეებზე, ტიპებსა და ფორმებზე. ეს დაეხმარება მათ, უკეთ გაიაზრონ და შეაფასონ ძალადობრივი ქმედებების მიზეზები და შედეგები.

7. **ჩაგვრა ისტორიულ ჭრილში**

მოსწავლეებმა მოიძიეს ისტორიულ პიროვნებებზე ინფორმაცია, რომლებიც ჩაგრავდნენ სხვებს. გააკეთეს პრეზენტაცია, განიხილეს, იმსჯელეს და ამ საკითხზე მოაწყვეს დისკუსია.



8. კლიპები ჩაგვრის თემატიკაზე „უთხარი არა ბულინგს“

მოსწავლეებმა გადაწყვიტეს გადაეღოთ კლიპი 1 კლიპი 2 ჩაგვრის შესახებ. მისი სახელია: არ დაჩაგრო, იმეგობრე! ამ კლიპით ისინი უარს ამბობენ ძალადობაზე და მეგობრობისკენ მოუწოდებენ თანატოლებს. ვიდეო რგოლში მოსწავლეები თავად ასრულებენ იმ როლს, რომლის მორგებაც, სამწუხაროდ, ზოგ ადამიანს უწევს, როლური თამაშით მათ უკეთ გაიაზრეს პრობლემის არსი.

9. მულტფილმ „საოცრება“-ს ჩვენება-განხილვა. პოსტერების დამზადება

პროექტის პირველ ეტაპზე დაწყებით კლასებში ჩატარდა მინი ლექცია. მასწავლებლებმა ახსნეს, თუ რას გულისხმობს ტერმინი ,,ბულინგი''. მსჯელობის შემდეგ თავადაც შეძლეს და ჩამოთვალეს მათი თანატოლების ქმედებები, რომლებიც შეიძლება ჩაგვრაში გადაიზარდოს: ხელის კვრა, დაცინვა, თმების მოქაჩვა, ნივთის წართმევა და ა.შ. მათ უყურეს ფილმს ,,საოცრება“, ასევე მოუსმინეს აუდიო წიგნებს, რომელიც შექმნილი იყო ,,კეთილი ამხანაგები''-ს და ,,კოჭლი კაცი''-ს მიხედვით. ასევე კლასმა უყურა ანიმაციურ ფილმს ,,ბულინგი სკოლაში'' მოხდა თითოეული პერსონაჟის თვისებებზე დაკვირვება და განხილვა.

მოსწავლეებმა სიუჟეტური სურათების გამოყენებით, შეთხზეს ამბავი. საბოლოოდ კი მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და პირადი გამოცდილების გათვალისწინებით, მოსწავლეებმა შექმნეს ნახატები. გადმოსცეს მათი თვალით დანახული ჩაგვრა.

პროექტის დასრულების შემდეგ, მოხდა მისი შეჯამება. ანკეტური გამოკითხვა, მონაცემთა დახარისხება და ანალიზი.

მისი მდგრადობა შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით სკოლაში აქტიურად გაგრძელდა მუშაობა ონლაინ კლუბში, რომელიც ყოველთვიურად გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს დემოკრატიული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ვფიქრობ, თითოეული აქტივობის შესრულებით, მოსწავლეებში გავაღვივეთ ემპათია. ვთვლი, რომ ძალადობაზე უარს არა მარტო ჩვენი სკოლის მოსწავლეები იტყვიან, არამედ სხვებსაც მოუწოდებენ ამისკენ. ყველამ ერთად უნდა ვთქვათ ხმამაღლა: ,,არ დაჩაგრო, იმეგობრე!"